სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01407

ქ. რუსთავი 12 ნოემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი ტაბატაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,თეგეტა მოტორსი" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის (მინდობილობა №0487/ა; გაცემული: 14.04.2014 წელს) ცენტრალური ფილიალის დირექტორის მოადგილის შოთა პაპიძეს სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე–3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის (გამარტივებული შესყიდვა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე" - ,,შემსყიდველი" ან/და ,,მიმწოდებელი".

1.7 ,,საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ანტიფრიზის შეძენა (CPV0920000)

2.2 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა მოცემულია დანართ №1–ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 490 (ოთხას ოთხმოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სახანძრო დაცვის სამსახურის უფროსი თამაზ დარბაიძე ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს ,,თეგეტა მოტორსი"–ს წარმომადგენელი შოთა პაპიძე

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;
- ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;
- ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. რუსთავი, ლესელიძის ქ. №30.

6.2 საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

შემსყიდველი მიმწოდებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის სრულ და ჯეროვნად მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში;

ბ) წუნის (დეფექტის) შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დეფექტური საქონლის შეცვლა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სახანძრო დაცვის სამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის თამაზ დარბაიძის სახით)

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,3%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ აცნობოს 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მიუთითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი მის: ქ.რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი №216433287 სს „ლიბერთი ბანკი” ბ/კ № LBRTGE22 ა/ა № GE78LB0125148543037000	შპს „თეგეტა მოტორსი“ მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ, №5 საიდენტიფიკაციო კოდი № 202177205 ს/ს „თიბისი ბანკი“ ბ/კ №TBCBGE22 ა/ა №GE80TB0600000024467853
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე	შპს „თეგეტა მოტორსი“-ს გენერალური დირექტორის მინდობილი პირი – ცენტრალური ფილიალის დირექტორის მოადგილე
გიორგი ტაბატაძე	*შოთა პაპიძე*

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: თამაზ დარბაიძე

დანართი №1

№	საქონლის დასახელება	ბალონების რაოდენობა (ცალი)	ერთი ბალონის ღირებულება (ლარი)	თანხა (ლარი)
1	ანტიფრიზი Driver NF 5L	14	35	490
2	სულ			490

შპს „თეგეტა მოტორსი"-ს გენერალური დირექტორის
მინდობილი პირი – ცენტრალური ფილიალის
დირექტორის მოადგილე

შოთა პაპიძე

TEGETA MOTORS

TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

№0487/ა
14.04.2014 წ

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „თეგეტა მოტორსის" გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე ენდობა ამავე საზოგადოების ცენტრალური ფილიალის დირექტორის მოადგილეს შოთა პაპიძეს (პირადობის მოწმობა №11ID85533) მასზედ, რომ მას აქვს უფლება ხელი მოაწეროს საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ნარდობის, მომსახურეობის ხელშეკრულებებზე. ასევე უფლება აქვს იყოს საზოგადოების წარმომადგენელი საჯარო რეესტრში, მინდობილი პირის სახელით ხელი მოაწეროს იჯარის ხელშეკრულებას, შეწყვიტოს, ვადა გააგრძელოს ან შეიტანოს ცვლილება მასში. შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების განხორციელებასთან.

მინდობილობა ძალაშია **2014 წლის 15 აპრილიდან 2014 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

პირადი ხელმოწერა (შოთა პაპიძე).....

პირადი ნომერი: 01029015131

მისამართი:თბილისი **ქ. თბილისი** ნაკადულის **ქუჩა კოპუსი 3 ბინა 44**

მოწმობის გამცემი **ორგანოს დასახელება: იუსტიციის** სამინისტრო

გაცემის **თარიღი:12.06.2012**

ამტკიცებს,
შპს"თეგეტა მოტორსის"
გენერალური დირექტორი

TEGETA MOTORS LTD

თემურ კოხოძე

საქართველო, 0131 ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეივანი №2–12 ჯ.№5.
ტელეფონი: 224 44 44
ფაქსი: 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

საბანკო რეკვიზიტები:
"TBC– ბანკი"
SWIFT: TBCBGE22
ა/ბ GE80TB0600000024467853
მიმღები: შპს "თეგეტა მოტორსი"
საიდ/კოდი: 202177205

#5, 12–km. D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia.
Tel: +99532 224 44 44
Fax: +99532 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

Beneficiary's Bank: TBC BANK
11, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
SWIFT: TBCBGE22830
BEN'S Account: GE83TB0600000061070209
NAME OF BENEFICIARY: TEGETA MOTORS LTD